ქართული
კალათბურთი

დებულება

დუდუ დადიანის მემორიალი 2023

დუდუ დადიანის
მემორიალი

სეზონი 2022-2023
GBF.GE

დუდუ დადიანის მემორიალი

1. მიზანი და ამოცანები

მემორიალი მიზნად ისახავს:
- საქართველოში კალათბურთის განვითარებას და პოპულარიზაციას;
- კლუბების სათამაშო კლასის ამაღლებას და წარმოადგენს ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს;

2. მემორიალის ხელმძღვანელობა

მემორიალის ორგანიზებას და ჩატარებას ხელმძღვანელობს ს.კ.ე.ფ. საშეჯიბრო განყოფილების მეშვეობით.

3. ჩატარების დრო და ადგილი

3.1. მემორიალის თამაშები გაიმართება 2022 წლის 12 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით ქ. თბილისის ოლიმპიურ სასახლეში.

4. მონაწილე გუნდები, ჩატარების სისტემა

4.1. მემორიალში მონაწილეობენ სუპერლიგის გუნდები სურვილის მიხედვით, რომლებიც სამ ჯგუფში არიან თავმოყრილნი **(დანართი #1)**
- გუნდები ჯგუფებში ითამაშებენ წრიული სისტემით ერთ წრედ.
-ერთი წრის შემდეგ ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები და საუკეთესო მეორეადგილოსანი ითამაშებენ მემორიალის ნახევარფინალში.
- ნახევარფინალში გუნდები შეხვდებიან შემდეგი პრინციპით:
(პირველი წყვილი) საუკეთესო პირველადგილოსანი გუნდი შეხვდება ჯგუფებში საუკეთესო მეორე ადგილოსანს.
(მეორე წყვილი) საუკეთესო მეორე შედეგის მქონე პირველადგილოსანი გუნდი შეხვდება საუკეთესო მესამე შედეგის მქონე პირველადგილოსანს.
შენიშვნა: ეთ ჯგუფში მყოფი გუნდები ეთმანეთს ნახევაფინალში ა შეხვდებიან. ასეთ შემთხვევაში, საუკეთესო მეოხე შედეგის მქონე პიველადგილოსანი შეხვდება ჯგუფებში საუკეთესო მეოხეადგილოსანს.
- ნახევარფინალურ მატჩებში გამარჯვებული გუნდები ითამაშებენ მემორიალის ფინალს.

5. ჩატარების პირობები

5.1. გუნდი ვალდებულია 2022 წლის 12 ოქტომბრამდე წარმოადგინოს განაცხადი დადგენილი ფორმით ორ ეგზემპლარად, რომელშიც შეყვანილი იქნება არა უმეტეს 16 მოთამაშე, მწვრთნელთა შტაბის არაუმეტეს 3(სამი) წარმომადგენელი და მედპერსონალის არაუმეტეს 3(სამი) წარმომადგენელი.
5.2. ყველა მონაწილე გუნდი ვალდებულია დაიცვას საქართველოში კორონა (ჩOVID-19) ვირუსთან დაკავშირებული საკანონდებულო რეგულაციები.
5.3. მატჩებში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ოქმში შეყვანილ მოთამაშეებს (12 კაცი), მაგრამ არაუმცირეს 10 მოთამაშისა.
5.4. ყოველ გუნდს უნდა ჰქონდეს ორი ფერის სპორტული ფორმა (ღია და მუქი), მოთამაშეთა მაისურებზე დასაშვებია ნომრები 00, 0-დან 99-მდე, ხოლო გვარი ქართული შრიფტით (უცხო ენაზე – "ს.კ.ე.ფ"-თან შეთანხმების შემთხვევაში).

6. დისციპლინარული დარღვევები

დისციპლინარული სასჯელის ზომას დებულებით დადგენილ ფარგლებში განსაზღვრავს "სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტი" გუნდის წარმომადგენლებს: მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მწვრთნელთა თანაშემწეებს, სამედიცინო პერსონალს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქცევის წესების დაცვაზე მატჩამდე, მატჩის მსვლელობისას და მატჩის დამთავრების შემდეგ. წესების დარღვევისათვის დადგენილია შემდეგი სასჯელები:
6.1 ტექნიკური ჯარიმის მიღების შემთხვევაში, მოთამაშეს, ასევე მწვრთნელს ეკისრება ფულადი სანქცია 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. სეზონის განმავლობაში მე-3 ტექნიკური ჯარიმიდან ყოველი მომდევნო დარღვევისთვის ფულადი სანქცია შეადგენს:
მე-3 ტექნიკურისთვის - 100 ლარს;
მე-4 ტექნიკურისთვის - 100 ლარს;
მე-5 ტექნიკურისთის - 100 ლარს;
მე-6 ტექნიკურისთვის - 100 ლარს... და ასე შემდეგ.
შენიშვნა: ფინანსური სანქცია არ ვრცელდება იმ ტექნიკურ ჯარიმებზე, რომლებსაც მოთამაშეები მიიღებენ ეგრედ წოდებული „ფეიკისთვის" (Faკე).
6.2 შეურაცხყოფა სიტყვით ან ჟესტით:
6.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების, მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის წარმომადგენლები ერთმანეთის მიმართ – ჯარიმა **500(ხუთასი)-დან 1000 (ათასი) ლარის** ფარგლებში და დისკვალიფიკაცია 1(ერთი) –დან 2(ორ) თამაშამდე.
6.3 ფიზიკური შეურაცხყოფისთვის:
6.3.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – ჯარიმა **1200 (ათას ორასი)-დან 2500 (ორიათას ხუთასი) ლარის** ფარგლებში და დისკვალიფიკაცია 2(ორი)-დან 6(ექვს) თამაშამდე.
6.3.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის წარმომადგენლები ერთმანეთის მიმართ – **ჯარიმა 1000(ათასი)-დან 2000(ორი ათასი) ლარის** ფარგლებში და დისკვალიფიკაცია 2 (ორი)-დან 6 (ექვს) თამაშამდე.

6.4 ზემოთმოყვანილი სანქციები ვრცელდება ყველა ოფიციალურ შეჯიბრზე რომელიც ტარ¬დება ს.კ.ე.ფ-ის ეგიდით, ხოლო თუ დისკვალიფიკაციის ვადა აღემატება მემორიალის ბოლომდე გათვალისწინებულ კალენ¬დარული თამაშების რაოდენობას, დარჩენილი სასჯელი გადადის საქართველოს ჩემპიონატში, "სუპერლიგის"მატჩებზე.
6.5 იმ შემთხვევაში, თუკი გუნდი არ გამოცხადდება ან უარს იტყვის თამაშზე ან თამაშის გაგრძელებაზე:
-პირველი დარღვევისაისს – გუნდს ჩაეთვლება წაგება „უფლების ჩამორთმევით" და ჯარიმდება **3500 (სამიათასხუთასი) ლარით.**
-იგივე დარღვევის განმეორებისას – გუნდს ეძლევა დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე და ჯარიმდება **7000 (შვიდიათასი) ლარით.**
6.6 გუნდის ოფიციალური პირების (გუნდის ხელმძღვანელობა, მენეჯერი) არასპორტული ქცევა:
6.6.1 მუქარა, დაშინება ან არასპორტული ქცევა მეტოქის, მაყურებლის, მსაჯების, კომისრის ან მსაჯ-მდივანთა მიმართ – ჯარიმა **1700 (ათას შვიდარი) ლარი.**
6.6.2 სეზონის განმავლობაში იგივე დარღვევის განმეორებისათვის – ჯარიმა **3000 (სამი ათასი) ლარი**.
6.7 დისციპლინური დარღვევის შემთხვევები და მათ გამო გასატარებელი სასჯელები, რომლებიც არ არის მოყვანილი მე-6 მუხლში, განიხილება სკფ-ს გამგეობის მიერ.
6.8 განსაკუთრებულ შემთხვევაში სკეფ-ს სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტი უფლებამოსილია, თავის შეხედულებისამებრ, გაზარდოს სასჯელი დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.
6.9 გუნდის წევრებისათვის დაკისრებული, დებულებით გათვალისწინებული, ყველა სახის ჯარიმების გადახდა უნდა მოხდეს მომდენო თამაშამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში თამაშის კომისარს ეკრძალება მათი დაშვება მომდევნო თამაშზე.
6.10 ზემოხსენებული ჯარიმების არადროულად გადახდაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება გუნდის (კლუბის) ხელმძღვანელობას.

7. ფინანსები

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გაიღებს შემდეგ ხარჯებს:
- სპორტული ბაზის იჯარა;
- მსაჯთა ბრიგადის მიერ თამაშების მომსახურებას;
- ჩამოსული გუნდის სამივლინებო ხარჯებს (გზა, სასტუმრო და კვება) გაიღებს მიმავლინებელი ორგანიზაცია.

8. საჩივრები

8.1. განსახილველად მიღებული იქნება მხოლოდ ის საჩივრები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება კალათბურთის წესების დაცვის შესაბამისად. საჩივრის განხილვისთვის გუნდმა თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით უნდა შეიტანოს სკეფ-ში. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში თანხა უბრუნდება გუნდს, წინააღმდეგ შემთხვევაში თანხა რჩება ფედერაციის ანგარიშზე.

9. ჯარიმები

მემორიალზე გამარჯვებული გუნდი ჯილდოვდება დუდუ დადიანის სახელობის გარდამავალი თასით, ასევე გამოვლინდება მემორიალის საუკეთესო მოთამაშე რომელსაც გადაეცემა სპეციალური ჯილდო.